საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-851

05/09/2019

ქ. თბილისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატანების (შეკვეთილი) მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფ. ნატანების (შეკვეთილი) მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სალიცენზიო ობიექტები (სამი ჭაბურღილი) მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფ. ნატანების (შეკვეთილი) მიმდებარედ, კოლხეთის დაბლობზე ზღვისპირა სარეკრეაციო-საკურორტო ზონაში, რომელიც წარმოადგენს ზღვიურ-ალუვიურ ტერასას და ხასიათდება ჰორიზონტალური რელიეფით. აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილია მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. წიაღითსარგებლობის ობიექტების კოორდინატებია: #1-X-730039,526; Y-4647110,055; #2-X-730047,055;Y-4647221,444; #3-X-729984,127;Y -4647322,810; საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 500 მეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოცულობა შეადგენს: 150 000 $მ^3$-ს წელიწადში; სალიცენზიო ობიექტების (სამი ჭაბურღილი) სავარაუდო სიღრმე 70 მეტრია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და იგი წარმოდგენილია პროგნოზული კატეგორიით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან- ნატრიუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია 0,1-0,5 გ/ლ-მდე, საერთო სიხისტე 6 მგ/ექვ. ბაქტერიოლოგიური და ფიზიკური შემადგენლობა ასევე სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. წყლის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით. წყლის ტემპერატურა 14-16 ^{0}C-ია. სალიცენზიო ობიექტები არსებულია, ჭაბურღილებზე მოწყობილია თავმორთულობა და განთავსებულია რკინის ჯიხურებში.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტების ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

აღნიშნული მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჭაბურღილები წარმოადგენს არსებულ ობიექტებს, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა პოტენციური დაბინძურების წყარო არ არსებობს. რადგანაც ტერიტორია წარმოადგენს უკვე ათვისებულს, გამომდინარე აქედან ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ვინაიდან სალიცენზიო ობიექტი არსებულია და თავმორთულობაც მოწყობილია, შესაბამისად, ნარჩენების რაოდენობის გათვალისწინებით ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ასევე, საქმიანობის განხორციელების პროცესში ხმაურის წარმოქმნას არ ექნება ადგილი.

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. ასევე, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები. ასევე არ არის მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფ. ნატანების (შეკვეთილი) მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ ,,წიაღის ეროვნულ სააგენტოს“';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი